O-SOR-C-LT-2019-9-12/014294062

SOCAR
SAKORGGAZI

SAKORGGAZI JSC
13, Kiziki str. Tbilisi, Georgia, 0182

Tell: (+995 32) 243 92 75
E-mail :sakorggazi@socar.ge
www.socar.ge

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრიშვილს

№ O-SOR-C-LT-2019-9-12/01 12.09.2019

ბატონო ირაკლი,

ჩვენი კომპანიის მიერ განხილული იქნა თქვენი მიმდინარე წლის 06 სექტემბრის #6/52863 წერილი, რომელიც ეხება თბილისში, ქიზიყის ქუჩაზე #21 მდებარე არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანია თანხმობას აცხადებს განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით მესამე პირზე გადაცემა იმ პირობით, თუ ჩვენს კომპანიას ხაზოვანი ნაგებობით (გაზსადენის ქსელი) სარგებლობისას ან/და განკარგვისას არ შეექმნება არანაირი სახის დაბრკოლება (მათ შორის ახალი მფლობელი არ მოითხოვს აღნიშნული ნაგებობის გადატანას ან/და რეკონსტრუქციას ჩვენს კომპანიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე) და ახალი მფლობელი ვალდებული იქნება უზრუნველყოს ჩვენი კომპანიის მიერ, ნებისმიერ დროს, უსასყიდლოდ და შეუფერხებლად ხაზოვანი ნაგებობის დათვალიერება და მასზე საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარება, დაცვის ზონისა და პერიმეტრის გათვალისწინებით.

პატივისცემით ,

ზაზა მღებრიშვილი

საავარიო-საექსპლუატაციო

სამსახურის უფროსი

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
შემოსავლის № 95489/04
"13" 09 2019 წ.